



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება
ახალციხის მუნიციპალიტეტი ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *ნანა ხითარიშვილი*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ნუცა გელაშვილი*

კვების დარგში ექსპერტი: *თამარ ქრისტესაშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *კახაბერ ბერიძე*



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება
საიდენტიფიკაციო ნომერი	424068573
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	ახალციხის მუნიციპალიტეტის ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	-
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე ახალციხელის ქ N 2
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ს. წყრუთი, მე-2 ქუჩა, N11



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	-	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N MES 8 25 0000965060 25.08.2025	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	13.09.25-14.09.25	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.		



N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ I-II ნაწილი; □ „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, აქტივობათა კრებული I-II ნაწილი;	ქართული	-	60 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების, კერძოდ ს. წყრუთის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 აგვისტოს ბრძანების (№MES 8 25 0000965060) საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა: ჩაატარეს

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მამდიბლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



ინტერვიუება დაწესებულების ხელმძღვანელთან და პასუხისმგებელ პირებთან, განახორციელეს დოკუმენტაციის შესწავლა, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

8. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა ² სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ I-II ნაწილი; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ „აქტივობათა კრებული I-II ნაწილი;		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება	☐ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა (ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (შემდგომში დაწესებულება) მისიაა „სწავლისადმი უწყვეტი სურვილის გაღვივება აღზრდელის მიერ, თამაშზე დაფუძნებული გარემოს მიწოდებით, სადაც ბავშვებს შეუძლიათ შეისწავლონ, შექმნან და გაიზარდონ. ჩვენ მივცემთ საშუალებას თითოეულ ბავშვს გამოავლინოს თავისი სრული პოტენციალი აკადემიურად, სოციალურად და ემოციურად“.

დაწესებულების მისია ცხადყოფს, რომ იგი ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რადგან:

- აქცენტი კეთდება თამაშზე დაფუძნებულ გარემოზე, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ბუნებრივ საჭიროებებსა და განვითარების თავისებურებებს;
- დაგეგმილია ისეთი გარემოს შექმნა რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას;

მისიაში მკაფიოდაა გამოხატული დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცისა, სადაც უზრუნველყოფილია უნარების განვითარება, ემოციების გამოხატვა, სწავლა და სოციალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვაა „მიზანმიმართული თამაშის, პრაქტიკული გამოცდილებისა და მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების საშუალებით თანამშრომლობაზე, კრეატიულობასა და საზოგადოებაზე ფოკუსირებით ჩვენ შევქმნით მხიარულ, უსაფრთხო, ინკლუზიურ და ხარისხიან სააღმზრდელო გარემოს“. ხოლო ღირებულებებია:

- ვზრუნავთ ბავშვთა, ფიზიკურ, ფსიქიკურ, უსაფრთხო და არაძალადობრივ გარემოს შექმნაზე;
- სწავლების ძირითადი ფორმაა „თამაში“;
- ფიზიკური გარემო ერგება ყველა ბავშვის საჭიროებას;
- თემის და ოჯახის განსხვავებულობა მიღებული და აღიარებულია;
- მზად ვართ მივიღოთ მშობლებისგან შემოთავაზებული ინიციატივები და ჩავრთოთ ისინი ბაღის ცხოვრებაში;
- თემში არსებული სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მიმდინარეობის პატივისცემა;
- მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემა და მათი ინკლუზია;
- არაფორმალური სალონური შეხვედრები;
- გუნდური/თანამშრომლობითი მუშაობის/ურთიერთობების ხელშეწყობა;
- სიახლისადმი ღიაობა.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან, ვინაიდან მისიაში ფოკუსირებულია ბავშვის სოციალური და ემოციური პოტენციალის გამოვლენა თამაშზე დაფუძნებული სწავლებით, ხედვა კი კონკრეტიზაციას უკეთებს ამ მისწრაფებას და ხაზს უსვამს იმ გარემოს მახასიათებლებს (მხიარული, უსაფრთხო, ინკლუზიური, ხარისხიანი), რომლის საშუალებითაც მისიაში დასახული მიზნები იქნება მიღწეული. დაწესებულების ღირებულებები კი თავის მხრივ უზრუნველყოფს მისიისა და ხედვის მიღწევას დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3.მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226 -ით დამტკიცებულია “ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. აღნიშნული წესის მე-8 მუხლით დარეგულირებულია მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და გაზიარების მექანიზმები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად დაწესებულება მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული ეყოლება დაინტერესებული მხარეები.

აღნიშნული მეთოდოლოგიით დაინტერესებულ მხარედ დაწესებულებას განსაზღვრული ყავს:

- ა) ბალების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- ბ) ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- ბ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო;
- გ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;
- დ) სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია ხედვა ღირებულებები გამოკრულია დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ისეთ დოკუმენტში როგორცაა ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2030 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა თანამშრომლებთან ჩატარებული შეხვედრის ამსახველი ოქმი (05.09.2025). აღნიშნულ შეხვედრაზე თანამშრომელთათვის გაზიარებული იქნა დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები. დაწესებულების ხედვა, მისია, ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ სოციალურ ქსელში. მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების ფაქტი ასევე დადასტურდა დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუებითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა (ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
2. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დამტ.ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226

3. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2030 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226

4. <https://www.facebook.com/ts.q.rutis.sabavshvo.baga.baghi>

5 ოქმი N 05.09.2025

6. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226 -ით დამტკიცებულია “ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. აღნიშნული წესის მუხლი 13 არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დაწესებულება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და სტრატეგიული გეგმის მოქმედების ბოლოს. სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში გამოვლინდება ზუსტი საჭიროებები და დაწესებულებას მიეცემა საშუალება საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანი კი შემდგომი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის ინფორმაციის უზრუნველყოფაა. წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება კი განხორციელდება წელიწადში ორჯერ. აღსანიშნავია, რომ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების“ წესის მე- 13 მუხლის მე -

4 პუნქტი განსაზღვრავს რომ “ დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად “. ამავე წესის მუხლი 14 -ის მიხედვით კი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის ბალი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2.5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედო გეგმის შემთხვევაში 6 თვეში ერთხელ. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში კი მონიტორინგის ვადებად განსაზღვრულია იანვარი და ივლისი. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ დაწესებულება სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასება განახორციელებს წელიწადში ორჯერ სამოქმედო გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-4 მუხლით განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის მექანიზმები აღნიშნულ პროცესში , კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული იქნებიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- ა) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- ბ) ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო;
- დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;
- ე) სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების“ წესში მე-13 და მე-14 მუხლში განსაზღვრული მოთხოვნების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა მარეგულირებელ დოკუმენტებში და პრაქტიკაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ვადები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226 - ით დამტკიცებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2030 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა. დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვისას ეყრდნობა SWOT მეთოდოლოგიას. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, გაწერილია 5 წლიან პერიოდზე და არის ციკლური, ვინაიდან დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების წესის მიხედვით ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა დაიწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არანაკლებ 6 თვით ადრე. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 5 სტრატეგიული მიზანი, ესენია:

- სტრატეგიული მიზანი 1. ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- სტრატეგიული მიზანი 2. საბავშვო ბაგა-ბაღებში განათლების კომპონენტის ხარისხის ამაღლება, სრულყოფა - ინკლუზიური განათლება.
- სტრატეგიული მიზანი 3. პროფესიონალი ადამიანური რესურსის მოძიება/ საკმარისი კადრები;
- სტრატეგიული მიზანი 4. ოჯახის, მშობლისა და თემის სისტემატური ჩართულობის უზრუნველყოფა
- სტრატეგიული მიზანი 5. ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა

წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებებთან, ვინაიდან სტრატეგიული მიზანი 1- ინფრასტრუქტურის განვითარება უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას, სტრატეგიული მიზანი 2 -განათლების ხარისხის ამაღლება, ინკლუზიური განათლება -უზრუნველყოფს აღსაზრდელის პოტენციალის გამოვლენას და მხარდაჭერას, სტრატეგიული მიზანი 3 ადამიანური რესურსის მოძიება/ განვითარება უზრუნველყოფს ხარისხიანი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვას, სტრატეგიული მიზანი 4- ოჯახის, თემის და მშობლის ჩართულობა უზრუნველყოფს ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას. სტრატეგიული მიზანი 5 ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა კი უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც სწავლა უფრო საინტერესო, ინტერაქტიული და შედეგიანი იქნება. თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია აქვს შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, სამიზნე დაწესებულებები და განმახორციელებლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226 ით დამტკიცებულია ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ის ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების მიერ გაკეთებულ თვითშეფასებას. სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის და თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად დაგეგმილ აქტივობებს. სამოქმედო გეგმა შედგენილი ერთწლიანი პერიოდისთვის და ემთხვევა სასწავლო წელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226 -ით დამტკიცებულია ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმა სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სამოქმედო გეგმაში გაწერილ აქტივობებს თან ახლავს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. გეგმაში გაწერილი ვადები რეალისტურია, ემთხვევა სასწავლო წლის ციკლს და უზრუნველყოფს აქტივობების თანმიმდევრულ და დროულ განხორციელებას. გეგმაში ასევე განსაზღვრულია შუალედური და საბოლოო მონიტორინგის პერიოდები, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას მოახდინოს სამოქმედო გეგმის პერიოდული შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება. სამოქმედო გეგმაში ასევე გაწერილია აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, განსაზღვრულია ფინანსური, მატერიალური და საკომუნიკაციო რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226-ით დამტკიცებულია „ სტრატეგიული დაგეგმვის , მონიტორინგისა და შეფასების წესი“. აღნიშნული წესში დაწესებულებას გაწერილი აქვს სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შეფასების და მონიტორინგის განხორციელების ვადები. სტრატეგიული გეგმის მინიტორინგი და შეფასებას განახორციელებს გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუა პერიოდში და დასრულებისას. ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასებას განხორციელებს სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ იანვარში და ივლისში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226-ით დამტკიცებულ „ სტრატეგიული დაგეგმვის , მონიტორინგისა და შეფასების წესში“ დაწესებულებას გაწერილი აქვს მექანიზმები თუ როგორ უზრუნველყოფს სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგების საჯაროობას. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას:

ა)დაწესებულების ვებ გვერდი

ბ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა-<https://apps.msda.gov.ge>;

გ)სოციალური მედია-<https://www.facebook.com/profile.php?id=100017346121413> ;

დ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ)

ე) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები, საინფორმაციო დაფა)

ვ) ელექტრონული პლატფორმები (მაგ. Zoom, Teams).

ამავე წესის მიხედვით სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუების შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტარტეგიული დაგეგმავრების მონიტორინგისა და შეფასების წესი დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2030 წწ სტარტეგიული განვითარების გეგმა დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226

3. ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 226

4. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.2 სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

„სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“.

„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის და **დეკლარირების** ამსახველი დოკუმენტი, კერძოდ, ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ N: 231 (25/06/25), კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი ბრძანება N 228 (25/06/25). დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს კურიკულუმ(ებ)ით : „ სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბრძანებაში N 231 (25.06.25) კურიკულუმის დასახელება იკითხება შემდეგნაირად „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ I-II ნაწილი“. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის **პროცესის** ამსახველი დოკუმენტები/მასალები: სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N229

³ მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

25/06/25, ასევე წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის მიზნით სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1. (25.06.25) დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი ბრძანება N232 (25.06.25); ინტერვიუზე ფსიქოლოგ -ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ჩარჩო დოკუმენტში თავმოყრილია ის მიზნები რასაც კურიკულუმი „თამაში გვთავაზობს და მას იყენებენ საორიენტაციოდ დაინტერესებული პირებისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს რომ კურიკულუმი, როლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ბრძანებაში N231 (25.06.25) სრულად ასახოს შერჩეული კურიკულუმის დასახელება. დაწესებულების საქმიანობის სწორად წარმართვისათვის საკმარისია დამტკიცებული კურიკულუმის დაცვა. კურიკულუმი თავად წარმოადგენს სისტემურ ჩარჩოს, სადაც გაწერილია როგორც საგანმანათლებლო მიზნები, ისე პრაქტიკული მიდგომები. შესაბამისად ,დამატებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გაურკვევლობა, თუ რომელი დოკუმენტი ითვლება ძირითადად სავალდებულოდ, რეალურად შეიძლება გაართულოს სისტემა და შეასუსტოს კურიკულუმის როგორც ძირითადი სახელმძღვანელოს მნიშვნელობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმ(ებ)ი სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“, რომლითაც ხელმძღვანელობს. (ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ N: 231 25/06/25) კონკრეტული კურიკულუმი/ები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას განვითარების ხუთ სფეროსა (ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება,

კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება) და სამ მიმართულებაში (ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება) ; კურიკულუმს, „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“, „ორი მთავარი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა; კურიკულუმის მიზნები ხელს უწყობს ბავშვებში ისეთი უნარების, ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების საწინდარია. სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზნებია: განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები; დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში; ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს; მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის; შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი. კურიკულუმი/ების მეთოდოლოგია, მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება, ინკლუზია, მართვა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმი/ებით „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“, „სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში“; კურიკულუმი/ები აღიარებს თამაშს, როგორც ბავშვის განვითარების

აუცილებელ პირობას; ბავშვების ოჯახებსა და თემთან თანამშრომლობას კი როგორც ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს. კურიკულუმი/ები ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის იყენებს ბავშვზე ორიენტირებულ და თამაშზე დაფუძნებულ მიდგომებს.თამაში ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის **სოციალური და ემოციური განვითარებისთვის**. თამაში იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვმა გაიაზროს და უსაფრთხოდ გამოხატოს ძლიერი ემოციები. ერთობლივ წარმოსახვით თამაშს შეუძლია ბავშვებს შორის განსაკუთრებულად ძლიერი კავშირის დამყარებას შეუწყოს ხელი. თამაშის დროს ბავშვებს ბუნებრივად უვითარდებათ **მსხვილი და წვრილი მოტორიკა**. თამაში ხელს უწყობს ბავშვის **კოგნიტურ განვითარებას**; თამაში ავითარებს **მეტყველებისა და კომუნიკაციის** უნარებს. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ვლინდება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებაში, ინიციატივის წახალისებაში, თამაშისა და კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების გამოყენებაში, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში და აღმზრდელთან/ აღმზრდელ პედაგოგთან, თანატოლებთან,გარემოსთან აქტიურ ურთიერთქმედებაში, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და არსებულ გეგმაში ცვლილების შეტანაში. კურიკულუმი ბავშვს აძლევს საშუალებას იყოს შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, ცდებისა და აღმოჩენების გზით შეიძინოს ცოდნა, თავად დააფიქსიროს მოსაზრებები და ჩაერთოს სწავლების პროცესში როგორც თანაავტორი, რაც აძლიერებს მის მოტივაციას, თვითშეფასებასა და ინტერესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი/ები ითვალისწინებს: ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობას, ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტ ჩართულობას და მშობელთა განათლებას და ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე. კურიკულუმი/ები მხარს უჭერს ოჯახთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ოჯახის აქტიურ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში, მათ თანამონაწილეობას საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრასა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში. კურიკულუმი/ები უზრუნველყოფს ოჯახისა და საგანმანათლებლო დაწესებულების კოორდინირებულ მუშაობას, რაც ხელს უწყობს ბავშვის განვითარების ერთიან და უწყვეტ მხარდაჭერას. კურიკულუმი/ები ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, როგორც ბავშვის სოციალურ-ემოციური, კულტურული და შემეცნებითი განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს. ბავშვი გარემოსთან ურთიერთობით იძენს რეალურ სოციალურ გამოცდილებას. კურიკულუმი/ები ითვალისწინებს საგანმანათლებლო აქტივობებში თემის რესურსების ინტეგრირებას, ბავშვების ჩართვას თემის ცხოვრებაში და თემის წარმომადგენლების მოწვევას საგანმანათლებლო სივრცეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი(ებ)ი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, ვინაიდან კურიკულუმი ეფუძნება თამაშზე დაფუძნებულ სწავლების პრინციპს, რაც ბავშვს განიხილავს როგორც აქტიურ, შემოქმედებით და თვითგამომხატველს. თამაშის საშუალებით ორგანიზებული მრავალფეროვანი საქმიანობები წარმოადგენს კურიკულუმის განხორციელების ძირითად მექანიზმს. მრავალფეროვანი აქტივობები ვლინდება სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილ გარემოში მაგალითად: დრამატული თამაშების, ხელოვნების, კვლევა-

აღმოჩენის, სენსორულ, კუბურების, სამაგიდო თამაშების, წიგნიერების, მოსასვენებელ სივრცესა და წრეზე შეხვედრების სივრცეში. ასევე ისეთი საქმიანობების ინტეგრაციით, როგორიცაა როლური და სიმბოლური თამაშები, შემოქმედებითი საქმიანობები, მოძრაობითი და სენსორული თამაშები, კვლევითი და შემეცნებითი აქტივობები და ა.შ. კურიკულუმში ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და საქმიანობები მორგებულია ბავშვთა ასაკობრივ საჭიროებებს, განვითარებაზე მორგებულ გამოწვევებსა და ინტერესებს. ასაკისა და განვითარების შესაბამისობა ვლინდება მრავალფეროვან აქტივობებში, რომელიც ხელს უწყობს სფეროების განვითარებას ყველა მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6.კურიკულუმში გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესში “(ბრძანება N:228 25.06.2025) განსაზღვრული ჰყავს კურიკულუმის გაზიარებისთვის დაინტერესებული მხარეები (მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი და სხვა). ასევე განსაზღვრული აქვს რა გზებსა და კომუნიკაციის რა საშუალებებს გამოიყენებს კურიკულუმის გასაზიარებლად .საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის მიხედვით:

მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს. ურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს. **დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:**

ა) პირისპირ შეხვედრები;

ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის zoom, teams გამოყენებით.

გ) საინფორმაციო დაფები;

დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ა.შ.

(საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დამტკიცებული ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 242

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა კურიკულუმის გაზიარების ოქმი (05.09.25), ოქმში განხილული საკითხებია: დაწესებულების მისია ხედვა ღიებულებები; კურიკულუმის ძირითადი პრინციპები და მიზნები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სქრინი სოციალური მედიის პლატფორმიდან კურიკულუმის გაზიარების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შერჩევის და **დეკლარირების** ამსახველი დოკუმენტი - ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ N: 231 (25/06/25);

2. კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი ბრძანება დამტკიცებული ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 228

3. კურიკულუმ(ებ)ი: „ სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის;“

- 4.კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები/მასალები- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N:229 25/06/25, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1. (25.06.25);
- 5.კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი -ბრძანება N232 (25.06.25);
- 6.საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დამტკიცებული დამტკიცებული ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება №243 ;
- 7.სქრინი დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმიდან;
- 8.ოქმი (05.09. 2025) ურიკულუმის გაზიარების შესახებ;
- 9.ინტერვიუს შედეგი;
- 10.სოციალური პლატფორმა;

შეფასება:			
2.1 კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტ. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 227-ით. აღნიშნული წესი არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობასა და ხანგრძლივობას. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი/ები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად, მოკლევადიანი გეგმა- კვირის, გრძელვადიანი -კვარტალური ან წლიური. (ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

თავი 7 გვ 111; სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში -თავი 26. გვ 175). დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმში გაწერილი გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: მოკლევადიანი-ყოველკვირეული და გრძელვადიანი -კვარტლური, წლიური.(საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა;)დაწესებულებამ წარმოადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N:230 (25.06.25). ბრძანებით დამტკიცებულია მოკლევადიანი გეგმა - ყოველკვირეული და გრძელვადიანი გეგმა-წლიური, თუმცა დაწესებულების მიერ დანართად წარმოდგენილი დამტკიცებული გრძელვადიანი გეგმის ფორმა არ პასუხობს შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს. კერძოდ, გრძელვადიანი გეგმის ფორმად დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „სამოქმედო გეგმა.“ საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა/აღმზრდელ პედაგოგებმა წარმოადგინეს გრძელვადიანი- ერთწლიანი გეგმა , რაც შერჩეული კურიკულუმის შესაბამისია. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით შეესაბამება შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესსა“ და „ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ ბრძანებას N:230 (25.06.25)“ შორის უზრუნველყოს შესაბამისობა. კერძოდ, დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვრული პერიოდულობა მოარგოს ბრძანებით დამტკიცებული გრძელვადიანი გეგმის პერიოდულობას, ან და პირიქით. ასევე დაწესებულებამ დამტკიცებული გრძელვადიანი გეგმის ფორმა მოარგოს შერჩეულ კურიკულუმს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, აღნიშნული დაწესებულებას დარეგულირებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით. დამტ.ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 227.აღნიშნული წესის მუხლი 3 არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

წესის მიხედვით, გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. დაწესებულების ხელმძღვანელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არ აქვთ შემუშავებული გრძელვადიანი გეგმა, შესაბამისად არ ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი. საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია. პერსონალს განსაზღვრული აქვთ პარასკევი დღის არასაკონტაქტო საათი, რა დროსაც შეთანხმებულად იმუშავებენ მომდევნო კვირის გეგმებზე. დაწესებულებას, თანამშრომლობა, თანამონაწილეობა და გუნდური მუშაობის ხელშეწყობა ასახული აქვს წარმოდგენილ მისი, ხედვა ღირებულებებში. კერძოდ ჩანაწერი ღირებულებებიდან: „გუნდური/თანამშრომლობითი მუშაობის/ურთიერთობების ხელშეწყობა“;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3.საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმი (ბრძანება N:227 25.06.25), სადაც ასახულია საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში საჭირო დოკუმენტაციის შექმნისას ჯგუფის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება: მაგალითად, ინდივიდუალურ პორტფოლიოში. დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმი გაწერილი აქვს აღნიშნული პორტფოლიოების წარმოების წესი, წესის მიხედვით აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოში წარმოდგენილია:

მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმებში, საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოსა და ბავშვების **დღის განრიგი**- დღის განრიგი კი ჯგუფში მიმდინარე პროცესების თანმიმდევრული აღწერაა, სადაც გათვალისწინებულია როგორც ჯგუფის ისე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესი, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის.

რეფლექსური ჩანაწერები - წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და გააზრების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, სადაც თავმოყრილია როგორც ბავშვებზე ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, ასევე პერსონალის სუბიექტური შეხედულებები, მოსაზრებები და დასკვნები როგორც ცალკეულ ბავშვზე, ასევე, ბავშვების ჯგუფებზე, თუ საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტებზე.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები.

საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოში წარმოდგენილი იყო დღის განრიგი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმა, ჯგუფზე და ინდივიდუალურად ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერების რეგული. აღმზრდელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ ჯგუფის საჭიროებებს დაკვირვების საფუძველზე გამოავლენს, ჩაინიშნავს და შემდეგ გაითვალისწინებს მომდევნო კვირის გეგმაში. ეს იქნება გუნდური მუშაობის საჭიროება, რესურსის საჭიროება, ინტერესთა სფერო, გარემოს მოწყობა თუ სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის“ წესი დამტ. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 227 სადაც, ასახავს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში საჭირო დოკუმენტაციის შექმნისას ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას: მაგალითად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმებში, საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოსა და ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიოში. დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმი გაწერილი აქვს აღნიშნული პორტფოლიოების წარმოების წესი, წესის მიხედვით აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოში წარმოდგენილია:

დღის განრიგი- დღის განრიგი ჯგუფში მიმდინარე პროცესების თანმიმდევრული აღწერაა, სადაც გათვალისწინებულია როგორც ჯგუფის ისე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესი, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის.

რეფლექსური ჩანაწერები - წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და გააზრების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, სადაც თავმოყრილია როგორც ბავშვებზე ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, ასევე პერსონალის სუბიექტური შეხედულებები, მოსაზრებები და დასკვნები როგორც ცალკეულ ბავშვზე, ასევე, ბავშვების ჯგუფებზე, თუ საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტებზე.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები - ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალიზაციის შეტანა/გაწერით, დაწესებულების მიერ, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით. მარეგულირებელი წესით დაწესებულება ასევე არეგულირებს შემდეგ: :მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა)

ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;

ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები;

გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი;

დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;

ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები;

აღმზრდელთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ სწორად აქვს გააზრებული როგორ გამოკვეთოს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და სადა ასახოს. კერძოდ მან ინტერვიუზე აღნიშნა , რომ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს გამოავლენს დაკვირვების საფუძველზე, ჩაინიშნავს რა იწვევს მათში ინტერესს. მათ ინტერესს შემდეგ გაითვალისწინებს ჯგუფურ და ინდივიდუალური აქტივობების ჩართვის პროცესში. თამაშის პროცესში ასევე დააკვირდება ბავშვების საჭიროებებს. შესაბამისად ჩაინიშნავს მათ საჭიროებებს და კოლეგებთან ერთად იმსჯელებს რა აქტივობები იქნება ყველაზე ეფექტური კონკრეტული ბავშვისათვის. სსსმ ბავშვის შემთხვევაში აუცილებლად გამოკვეთს რა სირთულეები და ძლიერი მხარეები აქვს ბავშვს, რათა სწორად დაუგეგმოს აქტივობები, აქტივობების დაგეგმვის დროს კი ითანამშრომლებს სპეც მასწავლებელთან.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა წარმოადგინა ინდივიდუალური განვითარების გეგმის ფორა, რასაც საჭიროებიდან გამომდინარე გამოიყენებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები რაც ვლინდება დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმი/ებით, კერძოდ, ადრეული განათლების კურიკულუმი „ თამაში“; (სახელმძღვანელოდან თავი 5. საგანმანათლებლო პროცესის მეთოდები და თავი 6. თამაშებისა და სტრატეგიების მეთოდები); სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში“ (პროგრამის ძირითადი საფუძველი -თავი 1. თამაში). ვიზუალური დათვალიერების შედეგად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები რაც ვლინდება ჯგუფის სივრცეებად მოწყობაში . აღმზრდელს/ აღმზრდელ პედაგოგს აქვს საშუალება ბავშვი ჩართოს სხვადასხვა ტიპის თამაშში. წარმოდგენილია დღის განრიგი (ბრძანება N:210 11.06.2025) 2-3 წლამდე აღსაზრდელთა ჯგუფებისა და 3-4, 4-5, და 5 წლიდან დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე აღსაზრდელთა ჯგუფების , სადაც იკითხება რომ თამაში და თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ხერხია. კერძოდ დღის განრიგში გამოყოფილია თამაშისთვის განკუთვნილი დრო. აღზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა , რომ დაწესებულებაში დიდ და მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები . აღმზრდელმა აღნიშნა , რომ მცირე ტრანზიციების დროს იყენებენ სიმღერებს, ბარათებს , ზარს , ჩანგლებს , „შუქს“, ტაშის დაკვრას ,კონკრეტული სივრცის რესურსებს და ა.შ. დიდი ტრანზიციების ხელშეწყობის მიზნით ასაკობრივ ჯგუფებში წარმოდგენილია

ბაღი და სახლი, სადაც ბავშვს აქვს შესაძლებლობა საკუთარი ფოტო გადადოს სახლიდან ბაღში და პირიქით. ასევე დაგეგმილი აქვთ დიდი ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით აქტივობები, პროექტები და ა.შ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოკლევადიან გეგმის ფორმაში გამოყოფილია ტრანზიციებისა და რუტინებისთვის გრაფა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმი/ების მიხედვით, დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება. კერძოდ დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი თამაშები, კვლევითი თამაშები, სენსორული თამაშები, სამაგიდო თამაშები, მოძრავი თამაშები, მანიპულაციური თამაშები, კონსტრუქციული თამაშები; თამაშები, რომელიც ბავშვის მიერ არის ინიცირებული, თამაშები, რომელიც უფროსის მიერ არის ინიცირებული; ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს შენობის შიგნით და გარეთ აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება; დაწესებულებაში ჯგუფები და ეზო მოწყობილია სივრცეებად, რაც იძლევა სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალებას, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად; კერძოდ, დრამატულ სივრცეში-დრამატული და წარმოსახვითი თამაშები; ხელოვნების ცენტრში- შემოქმედებითი

თამაშები; მეცნიერების ცენტრი -კვლევითი თამაშები; სენსორული ცენტრი-სენსორული თამაშები; კუბურების ცენტრი-კონსტრუქციული თამაშები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი -ბრძანება N 227 (25.06.25) მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბალების მიხედვით;
2. შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბალების მიხედვით;
3. შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/შესყიდვის განხორციელება;

4.შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა, შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის მიღება და აღრიცხვა, შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის გადანაწილება ბალების მიხედვით;

5. შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფში, ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით).

მექანიზმის მიხედვით დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. ბავშვის ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებისთვის, ასევე კურიკულუმით დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის, ამ მუხლით მექანიზმებთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისათვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი. დაწესებულებას აღნიშნულ წესში ასევე განსაზღვრული აქვს რესურსების მოძიების შემდეგი ალტერნატიული გზები: მოგროვება, დონაცია, დამზადება.(მუხლი 6.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, კერძოდ ბრძანება N: 232 -„ დამტკიცდეს არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.“დაწესებულებას საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით დარეგულირებული აქვს“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად

უზრუნველყოფის“ წესით (დამტ. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 227.) კერძოდ:

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა :

1. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დაასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;

2. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმის ჩარჩოსთან ერთად;

მინიმალურ საგანმანათლებლო რესურსზე ჩანაწერი იკითხება „ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის“ წესშიც. (დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 მაისის ბრძანება N 237). კერძოდ,

მუხლი 4. დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება-ში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში/კურიკულუმის ჩარჩოში. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა არ მოიცავს მინიმალურ რაოდენობას, შესაბამისად ვერ მოხერხდა შეფასება თუ რამდენად უზრუნველყოფილია თანაფარდობა არსებული რესურსის დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან. დაწესებულების მიერ განსაზღვრული მინიმალური რესურსის უმეტესი ნაწილი არის დაწესებულების ბალანსზე რაც დასტურდება მიღება-ჩაბარებებით, ვიზუალური დათვალიერებითა და ინვენტარიზაციის დოკუმენტით; თუმცა ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, წარმოდგენილ მიღება -ჩაბარებების აქტში და ინვენტარიზაციის დოკუმენტში არ დაფიქსირდა გარკვეული რესურსის ფლობა, მაგალითად „საცოცი კედელი სადაზღვევო მატრასით“, „ტანვარჯიშის რგოლები შვედური კედლისთვის“, „საცოცი კიბე შვედური კედლისთვის“, „კინეტიკური ქვიშის მაგიდა ორგანოფილური სათავსოთი“, „საცოცი/საქანაო თაღი, ჩასაფენი საქანაო თაღისთვის“, „პიკლერის ნავი/საფეხურები“, „პიკლერის საცოცი სამკუთხედი“, „სადრომიოლო სამკუთხედი ფიგურებიანი ჭრით“, „სენსორული მაგიდა“, „სინათლის მაგიდა“ და ა.შ

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დაზუსტება ,თითოეული ერთეულის რაოდენობრივი მაჩვენებლის მითითებით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი თანაფარდობის შეფასება ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან. ასევე, საგანმანათლებლო რესურსის ნუსხით გათვალისწინებული ყველა რესურსის ჩამონათვალი და ნუსხაშივე მითითებული რაოდენობები სრულად

უნდა ემთხვეოდეს საბავშვო ბაღში არსებულ რესურსებს. აღნიშნული თანხვედრა რესურსისა და რაოდენობის უნდა დადასტურდეს ინვენტარიზაციით ან და შესაბამისი მიღება -ჩაბარების აქტით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ არ იზიარებს ექსპერტის მიერ წარმოდგენილ შეფასებასა და რეკომენდაციას აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში (იხ. წერილი №51 , 27.10.2025). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტავს, რომ არც საქართველოს „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონით და არც მასთან დაკავშირებულ ქვემდებარე ნორმატიულ აქტებში არ არის განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხაში რაოდენობრივი მაჩვენებლების სავალდებულო მითითება და შესაბამისად ნუსხაში რაოდენობრივი მაჩვენებლების მითითება არ წარმოადგენს სამართლებრივ მოთხოვნას. დაწესებულება აერთიანებს 26 ბაღს და 80-ზე მეტ ასაკობრივ ჯგუფს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს რესურსების ცენტრალიზებულ განსაზღვრას. თითოეული ბაღის, თითოეული აღმზრდელის რესურსების მოთხოვნა განისაზღვრება ჯგუფის მოცულობისა და საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით. პროცედურულად საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა ხორციელდება შემდეგნაირად: ბაღის სამეურნეო ნაწილის გამგე წლის დასასრულს ახორციელებს მარაგების აღრიცხვას. აღმზრდელი განსაზღვრავს რესურსების საჭიროებას აქტივობების მიხედვით და წარუდგენს მენეჯერს. წარმოდგენილი მოთხოვნისა და არსებული მარაგების გათვალისწინებით ხდება საბავშვო ბაგა-ბაღის საერთო ნუსხის წარდგენა ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის. ბაღში არსებული რესურსების არსებობა დასტურდება მიღება- ჩაბარებებით, ვიზუალური დათვალიერებით და ინვენტარიზაციის დოკუმენტით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, ვინაიდან ინდიკატორის შინაარსი პირდაპირ უკავშირდება იმ აუცილებელ წინაპირობას, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას. კერძოდ, კურიკულუმის მიზნების მიღწევა შეუძლებელია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების არსებობის გარეშე, ხოლო აღნიშნული რესურსები უნდა იყოს არა მხოლოდ შინაარსობრივად შესაბამისი, არამედ რაოდენობრივადაც საკმარისი თითოეული ასაკობრივი ჯგუფისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტის შეფასება ეფუძნება იმ პრინციპს, რომ საგანმანათლებლო რესურსი წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილს და უზრუნველყოფს კურიკულუმში განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. რესურსების რაოდენობრივი დეფიციტი პირდაპირ აისახება ბავშვთა ჩართულობის ხარისხზე, აქტივობების მრავალფეროვნებაზე, სწავლების ინდივიდუალურ მიდგომაზე და, საბოლოოდ, საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობაზე.

დაწესებულებას, 2025 წლის 25 ივნისის №227 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-5 მუხლის 1-ლი, 5-ე და 6-ე პუნქტებით განსაზღვრულია, რომ: საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს რესურსის სახეობას და მის მინიმალურ რაოდენობას; მინიმალური რესურსის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით; რესურსების საბოლოო მოცულობა და ჩამონათვალი დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

ამრიგად, თავად დაწესებულებასვე აქვს დადგენილი პროცედურები, რომლებიც მოითხოვს რესურსების ტიპისა და რაოდენობის განსაზღვრას ბავშვთა რაოდენობის პროპორციულად.

ასევე, საქართველოს მთავრობის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის (თავი IV, მუხლი 15, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „თ“) თანახმადაც: „საგანმანათლებლო რესურსი ბავშვების რაოდენობის შესაბამისი უნდა იყოს“. რესურსების რაოდენობაზეა ასევე ხაზგასმული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევი“. გზამკვლევის მიზანია ხელი შეუწყოს ავტორიზაციის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ პირებს სტანდარტების, ინდიკატორებისა და კომპონენტების მოთხოვნის სწორად გააზრებასა და პროცესის სწორად წარმართვაში. გზამკვლევაში განმარტებულია შემდეგი: „დაწესებულებამ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად უნდა განსაზღვროს ბავშვზე/ჯგუფზე საჭირო საგანმანათლებლო რესურსის ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას“. (გვ 35)

აღნიშნული ნორმები ერთობლივად ადასტურებს, რომ ინდიკატორის მოთხოვნა არ შემოიფარგლება მხოლოდ რესურსების არსებობით — აუცილებელია მათი საკმარისი რაოდენობა თითოეული ჯგუფის საჭიროების შესაბამისად. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ვერ ასახავს იმგვარ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებდა რესურსების რაოდენობრივ შესაბამისობას ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით. გამომდინარე აქედან, შეფასება აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით არ შეცვლილა.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმ(ებ)ი, „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ეს არის ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ეს არის მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადასხვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის“.

დაწესებულებას გარემოს ფიზიკური მოწყობა დარეგულირებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმით მუხლი 7. გარემოს ფიზიკური მოწყობა

1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.

2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება:

ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე;

ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე;

დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად;

ე) დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ჯგუფური ოთახების და გარე სივრცის ფიზიკური გარემო ბავშვებისთვის მარტივად აღქმადია. ჯგუფი დაყოფილია სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად. კერძოდ, ჯგუფებში არის დრამატული, ხელოვნების, სენსორული, კონსტრუქციული, წყნარი/მოსასვენებელი, სამაგიდო, წიგნიერების, დილისა და საღამოს შეხვედრების სივრცე, სივრცეებზე გაკეთებულია ვიზუალური მინიშნებები. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეზო არის მოწყობილი სხვადასხვა სივრცეებად, კერძოდ: სენსორული, მუსიკალური, დრამატული, სამაგიდო, თავისუფალი თამაშების სივრცე, ფიზიკური აქტივობების სივრცე. ეზოს მოწყობა იძლევა კურიკულუმის შესაბამისი მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების საშუალებას. დაწესებულების ჯგუფური ოთახის გარემოს მოწყობა სრულად არ შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის სპეციფიკას. კერძოდ, ჯგუფურ ოთახებში განთავსებული სკამები არ არის ხის ფაქტურის, დაწესებულებაში წარმოდგენილია „პლასტმასის სკამები“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს სივრცის კურიკულუმის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. ჯგუფის ავეჯი(სკამები) მნიშვნელოვანია პასუხობდეს დაწესებულების მიერ დამტკიცებული კურიკულუმის მოთხოვნებს, კერძოდ კურიკულუმი ითხოვს ხის ფაქტურის ავეჯს;

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტის რეკომენდაციას ფიზიკური გარემოს მნიშვნელობისა და კურიკულუმთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ (იხ. წერილი №51, 27.10.2025). ამასთან, მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით მოთხოვნა არსებითად შესრულებულია. მეთოდურ სახელმძღვანელოში „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ მითითებული ხის ფაქტურის ავეჯის გამოყენება სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ წარმოადგენს სავალდებულო სტანდარტს. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ხარისხიანი საგანმანათლებლო პრაქტიკის ხელშეწყობას და პედაგოგების მხარდაჭერას სივრცის შემოქმედებითად ორგანიზებაში, თუმცა არ ზღუდავს დაწესებულების გადაწყვეტილებას ავეჯის მასალის ან ტიპის შერჩევისას. დაწესებულებას არგუმენტად მოყავს დანართი - 4.3.მატერიალური რესურსი კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი სადაც აქცენტი გაკეთებულია „ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ზომებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, გამომდინარე იქიდან, რომ:

- აღნიშნული დანართი 4.3 აფასებს დაწესებულების მატერიალურ რესურსებს. შეფასება მოიცავს იმას, თუ რამდენად გამოიყენება მატერიალური რესურსები დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და რამდენად შეესაბამება არსებული და/ან დაგეგმილი ბავშვთა რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ დანართი 4.3 არ აფასებს კურიკულუმს.

- დაწესებულებას დამტკიცებული აქვს კურიკულუმები: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“. კონკრეტულად, კურიკულუმში „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ მოცემულია თავი IV „ბავშვის გარემოს მოწყობა“, სადაც აღწერილია ფიზიკური გარემოს მოწყობის პრინციპები, განრიგის შემუშავების მეთოდები და ძირითადი მახასიათებლები. კურიკულუმში მითითებულია: „როგორი უნდა იყოს ფიზიკური გარემო, რომელშიც ეს კურიკულუმი ხორციელდება. ეს არის ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით.“ (გვ. 38) სახელმძღვანელოს ტექსტში (გვ. 39) გამოყენებულია ტერმინი „ზოგადი რეკომენდაციები“, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს კურიკულუმის მოთხოვნის განმარტებით კომპონენტს და არა სურვილზე დაფუძნებულ არჩევანს. კერძოდ, ხის ფაქტურის ავეჯი კურიკულუმის შესაბამისი გარემოს სავალდებულო მახასიათებელია, რადგან უზრუნველყოფს ბავშვის ბუნებრივ, თბილ და უსაფრთხო გარემოში ყოფნას. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით არ შეცვლილა.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმ(ებ)ი, „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“, საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად: **ღია რესურსი ჯგუფში** – როგორცაა ბუნებრივი და მეორადი რესურსი ; ფიზიკური გარემოს ორგანიზებისთვის რესურსის კონტეინერებში ან სხვა სათავსოებში დახარისხება შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, **ბავშვებისთვის გამოსაყენებელი ავეჯი** – თაროები/კარადები აუცილებლად ბავშვის სიმაღლის შესაბამისი და ღია/ ხელმისაწვდომი. დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში განსაზღვრავს რესურსის სახეებს , მაგალითად:

1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს.
2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის პოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. (მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა); ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა , რომ დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში კარადები განთავსებულია ბავშვების სიმაღლის შესაბამისად, არის ღია და ხელმისაწვდომი; ცენტრებში ფუნქციურად არის გადანაწილებული ბუნებრივი და მეორადი რესურსი. მაგალითად: სენსორულ ცენტრში კინეტიკური ქვიშა, ქვიშა, გირჩები, ლობიო, სიმინდი, მაკარონი, კენჭები, სილა, რკო, პლასტელინი, ერთჯერადი ჭიქები და ა.შ; დრამატულ სივრცეში: თოჯინები, მინი სცენა თოჯინების თეატრისთვის, ხილ-ბოსტანი, საკიდი სხვადასხვა ტანსაცმელით, ხელნაკეთი სამზარეულო, გაზქურა, სარეცხის მანქანა, ქუდები, ნიღბები, ხელნაკეთი სახლები, საუთავებელი მაგიდა, ექიმის აქსესუარები, ცხოველები და ა.შ; მეცნიერების ცენტრში: ფოტოები გამოკრული, ლობიო, სიმინდი, ლუპა, სოდა, ძმარი, და ა.შ; კუბურების ცენტრში: მრავალფეროვანი კუბურები, ბოულინგის კედლი, ბურთები და ა.შ; ხელოვნების ცენტრი: ფუნჯები, მაკრატლები, წებო, ფერადი ქაღალდები, ჩხირები , პლასტელინები, გუაშები საძერწი დაფები, ფერადი ფანქრები და ა. შ; წიგნიერების ცენტრში: ილუსტრირებული წიგნები, ვიზუალური ბარათები, ანბანი, ხელნაკეთი სენსორული სახელმძღვანელოები და ა.შ; ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში საგანმანათლებლო

რესურსი ასევე იყო კურიკულუმის შესაბამისი, სივრცეებში ფუნქციურად გადანაწილებული, მრავალფეროვანი და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი. დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსს ჰქონდა ვიზუალური მინიშნებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაწესებულებაში ოთახების სივრცე მოწყობილია ისე რომ ბავშვებს შეუძლიათ როგორც აქტიურ ისე პასიურ თამაშებში ჩართვა. გარემო დანაწილებულია სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად; (სენსორული, მეცნიერების, დარმატული, ხელოვნების, წიგნიერების, სამაგიდო, კუბურების, შეხვედრების სივრცედ) მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, ჯგუფში გამოყოფილია სივრცეები. მცირე ჯგუფებისთვის ცენტრები, ხოლო დიდი ჯგუფებისთვის საერთო შეხვედრების სივრცე. გარემო იძლევა ცვლილების შესაძლებლობას საჭიროებიდან გამომდინარე. დასვენებისა და განმარტოებისთვის ჯგუფში გამოყოფილია მოსასვენებელი სივრცე, წიგნიერების სივრცე და ძილისათვის საჭირო სივრცე (შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში); დაწესებულებაში ასევე არის სააქტო დარბაზი, რასაც ფიზიკური აქტივობებისთვის გამოიყენებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმ(ებ)ი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს; კურიკულუმის მიხედვით მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ რა აინტერესებს ბავშვს, რადგან დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე წარმართება საგანმანათლებლო პროცესი. დაკვირვების საფუძველზე ხორციელდება მომზადებული ჩანაწერების დოკუმენტირება, კერძოდ **ინდივიდუალური პორტფოლიოს წარმოება**-პორტფოლიო ბავშვის გამოცდილებების და ნამუშევრების შეგროვების სისტემაა, რაც მისი განვითარების და სწავლის პროგრესს ასახავს. პორტფოლიო ბავშვის საქმიანობის და თამაშის სხვადასხვა ვიზუალური და აუდიო დოკუმენტებისგან შედგება: ნახატები, სამუშაო ფურცლები, ჩანაწერები, სიმბოლოები, ცხრილები, ფოტოები, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები და სხვა. პორტფოლიო სრულ ინფორმაციას უნდა გვაძლევდეს ბავშვის განვითარების, ძლიერი მხარეების, პიროვნული თვისებების, ინტერესების და განვითარებადი უნარების შესახებ.

რეფლექსიური დღიური-დაკვირვებით მოპოვებული ობიექტური ინფორმაციის ჩაწერა, სუბიექტური შეხედულებები, ვარაუდები და მსჯელობებია, როგორც ცალკეულ ბავშვზე, ასევე, ბავშვების ჯგუფებზე; **შეფასებითი პორტფოლიო** -აღმზრდელმა პერიოდულობით უნდა გადახედოს ბავშვების პროტფოლიოებს და წელიწადში მინიმუმ ორჯერ მოკლე შეჯამება, შეფასება გააკეთოს მისი მუშაობის შედეგების, ბავშვის პროგრესის და მასთან მომავალი მუშაობის შესახებ. დაწესებულება წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს. მექანიზმის მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შემდეგ მეთოდებს:

- ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებს;
- ბ) მოკლე კითხვარებს;



გ) ჩეკლისტებს;

დ) სკალებს;

ე) ცხრილებს

ვ) სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტებს;

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების დამტკიცებული ფორმები.(ბრძანება N:234 25.06.25).

დაწესებულებას მარეგულირებელი წესის მიხედვით დაკმაყოფილებული აქვს ინდიკატორის მოთხოვნა, პრაქტიკის განხორციელებისთვის კი მიეცა რჩევა

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია თითოეულმა საგანმანათლებლო პერსონალმა თანმიმდევრულად გამოიყენოს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. აღნიშნული პროცესი უნდა განხორციელდეს იმ მექანიზმების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში. ასევე სასურველია თითოეული საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსური ჩანაწერი მოიცავდეს დაკვირვებას, ანალიზს, შეფასებას და შემდგომ ნაბიჯებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი; წესში გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა. სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

აღმზრდელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის ინტერესების დაფიქსირება და აქტივობებში ჩართვა. მაგალითად: ვის სჭირდება მეტი ემოციური მხარდაჭერა, ვის აქვს ყურადღების კონცენტრაცია, ვის უყვარს შემოქმედებითი საქმიანობა და ა.შ. პროგრესის შეფასება განხორციელდება დაკვირვების საფუძველზე, ჩანაწერებით და შეფასების ფორმებით, რაც მოიცავს განვითარების ყველა სფეროს და ხელს უწყობს ბავშვის შესაძლებლობების სრულფასოვან გამოვლენას. ბავშვის ინტერესის, საჭიროებისა და პროგრესის შეფასებისთვის დაკვირვების ფორმებსა და ჩანაწერებს აწარმოებს დაწესებულების თითოეული საგანმანათლებლო პერსონალი. მათ წარმოადგინეს შეფასებისა და დაკვირვების ფორმები, დამტკიცებული დაწესებულების მიერ (ბრძანება N:234 25.06.25).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესის მიხედვით დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია; ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ოთხჯერ; ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი წესის მიხედვით შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესის მიხედვით დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. დაწესებულება ასევე წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა სადაც ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრების ორგანიზება, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. საგანმანათლებლო-პერსონალმა (აღმზრდელ-პედაგოგმა) ინტერვიუზე აღნიშნა, რომ მშობლებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს გაუზიარებდათ ბავშვის ძლიერი მხარეები და გამოკვეთილი საჭიროებები. წლის დასაწყისში კი მშობლებს თავად შეავსებინებენ ბავშვის შეფასების შესახებ ფორმას, რაც აღმზრდელს დაეხმარება გაიცნოს ბავშვი და სწორად დაგეგმოს მისი განვითარება. (წარმოადგინა კონკრეტული ფორმა); ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ აღმზრდელ-პედაგოგს, სწორად აქვს გააზრებული ოჯახის ჩართულობის მნიშვნელობა ბავშვის შეფასების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული



რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტ. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება №227
2. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N:230 (25.06.25) და გეგმის ფორმები დანართის სახით;
3. დამტკიცებული დღის განრიგი (ბრძანება N:210 11.06.2025);
4. ბრძანება N: 232 -არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა დანართი 2;
5. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი ბრძანება N 237 25.05.25).
6. კურიკულუმ(ებ)ი, „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ;
7. ინვენტარის აღმწერი დოკუმენტი;
8. მიღება-ჩაბარების აქტები;
9. ბავშვის შეფასების ფორმები;
10. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, დამტ. დამტკიცებული ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება №243
11. საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;

12.წიგნების აღრიცხვის ჟურნალი;

13.ვიზუალური დათვალიერება;

14.ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:			
2.2 კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☒

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირის მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბრძანება N 228 25.06.25). კონკრეტული წესით დაწესებულება არეგულირებს კურიკულუმის შეფასების პროცესებს, რაც ხორციელდება წელიწადში 2-ჯერ; წესის მიხედვით კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება:

- ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
- ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;
- გ) მშობლების უკუკავშირს;
- დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;
- ე) სხვა;

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N: 229 05.06.25 კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ასევე წარმოადგინა ბრძანება N233 05.06.25 კურიკულუმის შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ და დანართები: N3ა-საგანმანათლებლო

პროცესის შეფასება, დანართი N3 ბ- საგანმანათლებლო პროცესის შეფასება დაკვირვებით; დანართი N3 გ -ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი; დანართი N3 დ- მშობლის უკუკავშირის კითხვარი; დანართი N3 ე- აღმზრდელის თვითრეფლექსიის კითხვარი. დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესის და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირის მშობლებისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბრძანება N 228 25.96.25) .კონკრეტული წესით დაწესებულება არეგულირებს შედეგების ანალიზისა და კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველს. კერძოდ, წესის მიხედვით დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენებს:

- ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვზე დაკვირვების შედეგების ანალიზი;
- ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი;
- გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია;
- დ) მშობლების უკუკავშირი;
- ე) განხორციელებული აქტივობების ანალიზი;

- ვ) რუტინებისა და ტრანზიციების ანალიზი;
- ზ) გეგმებისა და მასში ბავშვის იერ ინიცირებული საქმიანობების თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობის ანალიზი;
- თ) საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ჩართულობის ხარისხის ანალიზი;
- ი) გამოყენებული მდგომარეობისა და სტრატეგიების ანალიზი;
- ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის გამოიყენება:
 - ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ჯგუფზე დაკვირვების შედეგების ანალიზი;
 - ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი;
 - გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია;
 - დ) მშობლების უკუკავშირი;
- მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება:
 - ა) კითხვარები;
 - ბ) ღია შეხვედრები/დისკანციური შეხვედრები;
 - გ) სოციალური მედიის პლატფორმები;
 - დ) შენიშვნების წინადადების ყუთი;
 - ე) ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები;
 - ვ) სხვა;

კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. (მუხლი 5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას; ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას; გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას; დ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას; ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მდგომარეობაში; ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას; ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); თ) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში; ი) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას; კ) სხვა. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) ამ წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა. მარეგულირებელი წესის მიხედვით, დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულა

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1.კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბრძანება №228 25.06.25);

2.ბრძანება N: 229 (05.06.25) კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

3.ბრძანება N233 (05.06.25) კურიკულუმის შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ;

4.საგანმანათლებლო პროცესის შეფასების ფორმები;

5.ფიზიკური გარემოს შეფასების ფორმა;

6.მშობლის უკუკავშირის ფორმა;

7.აღმზრდელის თვითრეფლექსიის კითხვარი;

შეფასება:			
2.3 კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღია ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, დამტკიცებული ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 242-ით. მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს და განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს; კერძოდ,

მუხლი 5. საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა

1. საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისთვის ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღი იყენებს ან წესის დანართი N 1-ით განსაზღვრულ ცხრილს. ამავე ცხრილში განისაზღვრება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

2. არაგეგმიური აქტივობები ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე და მისი ასახვა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცხრილში არ ხორციელდება.

მეთოდოლოგიაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამიზნე აუდიტორია. კერძოდ ,

მუხლი 3. სამიზნე აუდიტორიის შერჩევა

ს წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღი სამიზნე აუდიტორია იყოფა შიდა და გარე აუდიტორიად;

შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პერსონალი, დამხმარე პერსონალი.

გარე აუდიტორიას განეკუთვნება: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ადგილობრივი თემის/საზოგადოების წარმომადგენელი, სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, სადაც დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან და ოჯახთან/ კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას.(საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის დანართი N1).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში
დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღმზრდელი წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. საბავშვო ბაღს აქვს გამოყოფილი ღია კარის დღე, მშობლის საათი, კითხვის საათი, თემის წარმომადგენლების მიწვევა, პროფესიების წარდგენა, საგანმანათლებლო რესურსის მოძიებაში მათი ჩართულობა, მათთან ერთად აქტივობების დაგეგმვა და ა.შ. ;(აღნიშნული ასევე იკითხება საკომუნიკაციო გეგმაში). მათ წარმოადგინეს საკომუნიკაციო გეგმა, სადაც გაწერილი ერთ-ერთი აქტივობაა მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზი. აღმზრდელ-პედაგოგმა ინტერვიუზე ასევე აღნიშნა, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააკეთებს ანალიზს, რა აქტივობებში გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა უფრო აქტიურად და ამის მიხედვით მოიფიქრებს მათი ჩართულობისთვის სხვადასხვა გზებს. მათ შორის წახალისების მიზნით გამოიყენებს მაღლიერების გამოხატვის განსხვავებულ ფორმებს, სერტიფიკატებს და ა.შ. თემის ჩართულობისთვის აქტიურად გამოიყენებს თემში არსებულ ადამიანურ რესურსს, მოიწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს , ასევე განახორციელებს ვიზიტს ახლომდებარე დაწესებულებებში. წახალისების მიზნით მათთან ერთად დაგეგმვას სხვადასხვა აქტივობებს;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები. შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი, მაგალითად:

მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა

1. საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღი ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თემის, სოციალური ჩვევებისა და ბაღის შესაძლებლობებიდან გამომდინარე;

2. საკომუნიკაციო არხების შერჩევისას ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) სამიზნე აუდიტორიის საჭიროებები;
- ბ) რესურსების (მათ შორის ფინანსური) ხელმისაწვდომობა;
- გ) კომუნიკაციის შინაარსი და სიხშირე;
- დ) უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა;
- ე) კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში)
- ვ) სამიზნე აუდიტორიის კულტურული და ლინგვისტური სპეციფიკა;

ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:

- ა) პირისპირ შეხვედრები;
- ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის - Zoom, Teams გამოყენებით-;
- გ) საინფორმაციო დაფები;
- დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
- ე) სატელეფონო ზარები;
- ვ) ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის ვებ-გვერდი <https://www.facebook.com/profile.php?id=100080666010484>;



ზ) ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-აღზრდის დაწესებულება სოციალური მედიის პლატფორმები-
<https://www.facebook.com/profile.php?id=100017346121413>;

ინტერვიუზე დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბაღს არ აქვს ვებ-გვერდი და მექანიკური შეცდომაა მეთოდოლოგიაში, ხოლო სხვა შერჩეულ არხებს დაწესებულება იყენებს თემთან და ოჯახთან ურთიერთობისას, ასევე დანართი N1 -ის მიხედვით დაწესებულებამ წარმოადგინა თემთან და ოჯახთან დაგეგმილი აქტივობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში გამოსწოროს მექანიკური შეცდომა და საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალში დატოვოს ზუსტად ის საშუალებები, რასაც საბავშვო ბაღი იყენებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, დამტ. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება №243
2. საკომუნიკაციო გეგმის დანართი N1;
3. ინტერვიუს საფუძველი;

შეფასება:			
3.1 თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა- დანართი N1. საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით დაწესებულებას უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას ბავშვის უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების სპეციფიკის შესახებ, რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით, კერძოდ : საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა თემაზე მათი ცნობიერების ასამაღლებლად როგორცაა ბავშვთა განვითარება, ემოციური და სოციალური ქცევითა მხარაჭერა, კვება, უსაფრთხოება და სხვა. აღნიშნულ თემებთან დაგეგმილი აქტივობები დადასტურდა საგანმანათლებლო პერსონალთან, კერძოდ აღმზრდელთან ინტერვიუებით

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ბავშვის შეფასება და შეფასების შედეგების განხილვა დარეგულირებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით. დამტ. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისი ბრძანება N 227-ით. დაწესებულება აწარმოებს ბავშვების შეფასებას და აქვს შეფასების შედეგები, რაც დასტურდება მარეგულირებელ წესში გაწერილი პროცესებით, კერძოდ:

მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები

დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) მოკლე კითხვარები;

გ) ჩექლისტები

დ) სკალები

ე) ცხრილები ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები

მშობლები ინფორმირებული არიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ რაც დასტურდება მარეგულირებელ წესში გაწერილი პროცესებით . კერძოდ:

მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების განხილვას მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;

2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად;

საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელთან) ინტერვიუებით დასტურდება, რომ მშობლებს, ინდივიდუალურად გაუზიარებენ ბავშვის შეფასები შედეგებს, ასევე გაზიარებისთვის გამოიყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს.

საგანმანათლებლო პერსონალმა (აღმზრდელმა) ინტერვიუზე აღნიშნა, რომ მშობლებს, ინდივიდუალურად გაუზიარებენ ბავშვის შეფასები შედეგებს, ასევე გაზიარებისთვის გამოიყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. კერძოდ, საკომუნიკაციო გეგმის დანართი N1-ით დაგეგმილი აქვს აქტივობები.

აქტივობა 1- „თემის წარმომადგენლების მოწვევა საბავშვო შეხვედრებზე. მაგ, ექიმი, მეხანძრე, პოლიციელი, ბიბლიოთეკარი პროფესიული გაცნობითი აქტივობებისათვის;

აქტივობა 2- „თანამშრომლობა თემის ინსტიტუტებთან ადგილობრივ დაწესებულებებთან ერთობლივი აქტივობები და ვიზიტები;

აქტივობა 3-მშობლებთან და თემთან ჩართულობით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება: და ა.შ აღნიშნული დასტურდება აღმზრდელ-პედაგოგთან ინტერვიუს შედეგადაც. მან აღნიშნა, რომ ბაღში მოიწვევენ მშობლებს და თემის წარმომადგენლებს, რომ ჩაერთონ საქმიანობებში-მაგალითად: პროფესიების გაცნობის დღეებზე და ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნისას. ასევე ვესტუმრებით თემში არსებულ რესურსს, იმის მიხედვით, თუ რა თემაზე ვმუშაობთ ბავშვებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით – „მშობელთა გამოკითხვა და უკუკავშირის მიღების მექანიზმის გაუმჯობესება, როგორც კითხვარები, წინადადებების ყუთი“ და ა.შ. დაწესებულება დაწესებულება ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების, შეფასებასა და შემდგომ განვითარებას არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი (მუხლი 11. საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება). ოჯახთან და თემთან განხორციელებული აქტივობები საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დაწესებულებაში კი მეთოდოლოგიის მიხედვით, მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება:

ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს;

ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას;

დ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისთვის;

საგანმანათლებლო პერსონალმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ ოჯახთან და თემთან დაგეგმილი აქტივობების შეფასება მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდება და შეფასების შემდეგ საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელებს ცვლილებების შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისი ბრძანება N 242
2. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისი ბრძანება N 227
3. საკომუნიკაციო გეგმის დანართი N1;
4. ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:			
3.2 თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

(ა)იპ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 7 მარტის ბრძანება N 120 დამტკიცებული აქვს ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აპარატისა და დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების ორგანიზაციული სტრუქტურა. ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის ორგანიზაციული სტრუქტურით განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები, ესენია: მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის გამგე, სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე, მზარეული, მზარეულის თანაშემწე, I ცვლის აღმზრდელი, II ცვლის აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, დარაჯი, სამეურნეო მუშაკი, ექთანი, II ცვლის ექთანი, მუსიკის ხელმძღვანელი. დაწესებულების შინაგანაწესში გაწერილია თითოეული პოზიციის შესაბამისი უფლება-მოვალეობები. ბაღს ამ ეტაპზე არ ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების სტრუქტურით და გაერთიანების ხელმძღვანელთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ გაერთიანებას ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ასევე გაერთიანების ბაზაზე არის სპეც აღმზრდელები და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მათი როტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის ბრძანება N 47 დამტკიცებულია შრომის შინაგანაწესი. შინაგანაწესით განსაზღვრულია დაწესებულების სტრუქტურაში გაწერილი თითოეული პოზიციის შესაბამისი ფუნქცია მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტაციის და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულების/პერსონალის ფუნქცია მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული და არ არის ურთიერთგადამფარავი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის ბრძანება N 47 დამტკიცებულია შრომის შინაგანაწესი სადაც გაწერილია პერსონალის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს:

- „ადრეული აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის #30 დადგენილებით;
- „ადრეული აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის #32 დადგენილებით,
- დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის #239 ბრძანებით დამტკიცებული „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით

პერსონალის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ ეს პერსონალია: მუსიკის ხელმძღვანელი, მზარეულის

თანაშემწე და მეორე ცვლის ექთანი. დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით მუსიკის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან საშუალო პროფესიული მუსიკალური განათლება, აღნიშნული პირის პირად საქმეში დაცული დოკუმენტის მიხედვით დგინდება რომ ის სწავლობს ახალქალაქის სამუსიკო სკოლის მე-5 კლასში. მზარეულის თანაშემწის შემთხვევაში განსაზღვრულია რომ უნდა ჰქონდეს მზარეულის საშუალო პროფესიული განათლება ან/და გავლილი ჰქონდეს მზარეულის საშუალო პროფესიული კურსები ხოლო აღნიშნული პირის პირად საქმეში დაცულია მხოლოდ საშუალო სკოლის ატესტატი, ასევე ექთნის შემთხვევაში განსაზღვრულია რომ უნდა ჰქონდეს ექიმის ან ექთნის უმაღლესი ან პროფესიული საშუალო განათლება, ხოლო პირად საქმეში დაცულია მედიის კურსების გავლის დამადასტურებელი ცნობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანებები რითიც დგინდება, რომ აღნიშნული პერსონალი დაწესებულებებში აყვანილია დროებით 2025 წლის პირველი იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. დაწესებულების შინაგანაწესში ერთადაა გაწერილი აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პოზიციისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას ამ ეტაპზე ყავს ერთი აღმზრდელ-პედაგოგი, რომლის პირად საქმეში დაცული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 478 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუმცა შინაგანაწესში გაწერილი სასაკვალიფიკაციო მოთხოვნები აღმზრდელ პედაგოგის ნაწილში არ არის შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 478 დადგენილებასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დასაქმება.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესში აღმზრდელ-პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 478 შესაბამისად ან გააკეთოს პირდაპირი რეფერენსი ამ დადგენილებაზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დროს გამოაგზავნა წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ორი წლის ვადაში 26.10.2025-26.10.2027 უზრუნველყოფს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მოძიებას და დასაქმებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისად შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით ნაწილობრივ შეესაბამება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული



4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც დატურდება პერსონალთან ინტერვიუებით და მათ პირად საქმეში დაცული შესაბამისი მტკიცებულებებით. პერსონალს ჩაუტარდათ FCCI-ის გადაუდებელი დახმარების „პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი“ და მიენიჭა შესაბამისი სერტიფიკატი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შინაგანაწესი. შინაგანაწესი ის ძირითადი დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს შრომითი ურთიერთობას, პერსონალის მოტივაციას და დისციპლინარული დევნას. დოკუმენტით გათვალისწინებულია ასევე შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა. შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პროცესები იმართება აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ დაწესებულების შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აღმზრდელ პედაგოგის/აღმზრდელის მიერ განსახორციელებელი საქმიანობები საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათის დროს, ასევე გაწერილია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 239 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილი კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები, რომელიც სრულად ეფუძნება ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპებს. დაწესებულებაში არსებული ვაკანტური პოზიციისთვის განაცხადი მუშავდება სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. პერსონალის დანიშვნა ხორციელდება როგორც პირდაპირი დანიშვნის გზით, ისე კონკურსის საფუძველზე (ღია/დახურული). აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს:

- ღია კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც მოიცავს კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შექმნის პრინციპებს;
- დახურული კონკურსის ჩატარების წესი;
- პირდაპირი დანიშვნის შემთხვევაში მოქმედების პროცედურები;

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს დაწესებულებაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 239 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს მათი ადაპტაციის სისტემურ და ორგანიზებულ პროცესს. დოკუმენტის მიხედვით ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

- ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;
- საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
- ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
- მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;
- უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ ახალი თანამშრომლები ეფექტიანად ინტეგრირდნენ სამუშაო გარემოში. სწრაფად შეეჩვიონ ორგანიზაციულ კულტურას და სრულფასოვნად ჩაერთონ სამუშაო პროცესებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც ვლინდება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების გუნდურ ორგანიზებასა და სამუშაო ჯგუფების ეფექტურ გამოყენებაში. თანამშრომლობითი და გუნდურად მუშაობის პრინციპები დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუებითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 239 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროების კვლევის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს მრავალმხრივი ასპექტების შეფასებას, მათ შორის:

- ა) უნარები;
- ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
- გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
- დ) სამუშაო გარემო ;
- ე) კარიერული განვითარება ;
- ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
- ზ) აღიარება და მოტივაცია;
- თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
- ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

პერსონალის საჭიროების მოკვლევისთვის დაწესებულება გამოიყენებს შემდეგ მეთოდებს:

- ა) წყვილების შედარების მეთოდი;
- ბ) კითხვარი;
- გ) მართვა მიზნების მიხედვით;
- დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
- ე) თვითშეფასება;



ვ) გასაუბრება;

ზ) სხვა.

აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებს ასევე გაწერილია აქვს პერსონალის შეფასების/საჭიროებების მოკვლევის ეტაპები, ესენია:

ა) დაგეგმვა;

ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;

გ) შედეგების ანალიზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)პ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 239 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დაწესებულება განახორციელებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენას და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით დაგეგმავს პერსონალის განვითარების ღონისძიებებს. აღნიშნულს ადასტურებს ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სადაც განსაზღვრულია პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგების უზუზრუნველყოფა.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3 დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 239 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ: ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულება ხელს შეუწყობს პერსონალის მხრიდან ინიციატივების დაფიქსირებას, რისთვისაც გამოიყენებს წახალისების ისეთ მექანიზმს როგორიცაა მაღლობის გამოცხადება და ჯილდოს გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება: (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N 700 ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი სოფ. წყრუთში მდებარე N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომელთა შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის N 413 ბრძანებაში პირველი მუხლის ზოგიერთი პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
2. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N 701 ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი სოფ. წყრუთში მდებარე N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის მუსიკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დროებით ო.ს. დანიშვნის თაობაზე
3. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N 703 ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი სოფ. წყრუთში მდებარე N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის მზარეულის თანამდებობის თანამდებობაზე დროებით ს.ს. დანიშვნის თაობაზე
4. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N 703 ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი სოფ. წყრუთში მდებარე N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის მეორე ცვლის ექთნის თანამდებობაზე დროებით გ.გ. დანიშვნის თაობაზე
5. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აპარატისა და დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების ორგანიზაციული სტრუქტურა დამტ. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 7 მარტის ბრძანება N 120
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 239
3. შრომის შინაგანაწესი დამტ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის ბრძანება N 47
4. პერსონალის პირადი საქმე

5. შრომითი ხელშეკრულება

5. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

6. დაწესებულების 5 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

7. ა(ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის ბრძანება N 217 ავტორიზაციასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

8. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.2 პროცესების მართვა

4.2.1 დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა (ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N 248 დამტკიცებულია დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი. დოკუმენტში გაწერილია დაწესებულებაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითად პროცესებს მიეკუთვნება: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება და ოჯახთან და თემთან ურთიერთობა. ხოლო დამხმარე პროცესებს გაეკუთვნება ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა, ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა, სხვა სერვისები (ასეთის

არსებობის შემთხვევაში). აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს აღწერილი აქვს თითოეული პროცესი, პროცესის მფლობელი, პროცესის შემადგენელი ეტაპები, პროცესის მარეგულირებელი წესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა (ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N 248 დამტკიცებულია დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. მუშაობის აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას მათი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. უწყვეტი გაუმჯობესების სპირალი იძლევა შესაძლებლობას, რომ დაწესებულებაში შენარჩუნდეს მიღწევები და ამავედროულად განისაზღვროს გეგმა სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. დაწესებულება ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე მოახდენს რისკების იდენტიფიცირებას. გამოვლენილი რისკ ფაქტორების გათვალისწინებით კი შეადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას. დაწესებულებაში განხორციელდება თითოეული პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 24 დამტკიცებულია საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესში გაწერილია საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მექანიზმი, პერიოდულობა და ვადები, ჩარიცხვის ეტაპები, ბავშვის გადაყვანის, სარეზერვო სიების შემუშავების წესი, ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტის და ბავშვების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვას დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) იპ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 240 დამტკიცებული აქვს ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის წესი, სადაც გაწერილია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი რასაც უნდა მოიცავდეს ბავშვის პირადი საქმე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებული იქნა ბავშვის პირადი საქმეები, აღნიშნულის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება აწარმოებს ბავშვის პირად საქმეების დადგენილი წესის შესაბამისად.

ასევე, ა(ა) იპ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის ბრძანება N 47 დამტკიცებულია შრომის შინაგანაწესი, სადაც გაწერილია იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი რომელსაც უნდა მოიცავდეს პერსონალის პირადი საქმე. აღნიშნულ ჩამონათვალში არ არის მოთხოვნილი ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“. თუმცა პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან/და გაქარწყლებისა“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი აღნიშნული ცნობები. შესაბამისად დადგინდა, რომ დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეების წარმოება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და პერსონალის პირად საქმეში განათავსოს ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. რეკომენდაციის შესასრულებლად დაწესებულებამ განსაზღვრა ერთწლიანი პერიოდი (26.10.2025–26.10.2026) და დაგეგმა შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- დაწესებულება თანხვედრაში მოიყვანს შრომის შინაგანაწესსა და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს;
- დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას დადგენილი წესის შესაბამისად;
- დაწესებულებაში დასაქმებული შესაბამისი პირები მიმართავენ შესაბამის ორგანოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ ცნობების მისაღებად;
- მიღებული ცნობები განთავსდება პერსონალის პირად საქმეებში.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისად შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა დამტ. ა (ა) იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N 248
2. საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი დამტ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 240
3. პერსონალის პირადი საქმე
4. აღსაზრდელის პირადი საქმე
5. შრომის შინაგანაწესი დამტ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის ბრძანება N 47
6. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 239



4.3 მატერიალური რესურსი

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ა ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3.1 დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1 დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 236 დამტკიცებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ საბავშვო ბაგა ბაღებში პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. აღნიშნული წესში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები სხვადასხვა

სიტუაციების დროს. დაწესებულების პერსონალს შეუძლია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით და მათთან ინტერვიუებით.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 27 ივნისი ბრძანება N 247 დამტკიცებულია ს. წყრუთის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რის დასტურადაც დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო დეპარტამენტის უფროსის წერილი N MIA 42501957028 25.06.2025

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ახალციხის მუნიციპალიტეტის ს.წყრუთის N 1 ბაგა-ბაღში არსებული მცენარეთა რეესტი (22.07.2025) რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში. აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 პუნქტში გაწერილია, რომ „მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას აცხადებს მისი შვილის ფოტო/ვიდეოგადაღების სოციალურ ქსელში განთავსების, აგრეთვე კურიკულუმის ფარგლებში ბაგა-ბაღის ტერიტორიიდან აღსაზრდელის გაყვანის შესახებ“. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულებაზე მშობლის ხელმოწერა სავალდებულოა ბავშვის ბაღში ჩასარიცხად, მშობელს უჩნდება ვალდებულება განაცხადოს თანხმობა ხელშეკრულებაში გაწერილ ყველა ჩამოთვლილ საკითხზე, მაშინაც კი, თუ რომელიმე მათგანს არ ეთანხმება. აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანხმობა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე უნდა იყოს თავისუფლად გაცემული, კონკრეტული და ინფორმირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული საკითხებზე (თანხმობა ფოტო/ვიდეო გადაღებაზე, კურიკულუმის ფარგლებში ბაგა-ბაღის ტერიტორიიდან აღსაზრდელის გაყვანაზე) მშობლისთვის არჩევანის მინიჭების უფლება, რისთვისაც შესაძლებელია ხელშეკრულებაში გააჩინოს დამატებითი მოსანიშნი გრაფა ან აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს ხელშეკრულების მიღმა. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს



როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, ასევე მშობლის უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ფოტოგადაღებასა და კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის ბაღის ტერიტორიიდან გაყვანასთან დაკავშირებული საკითხები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.6.2 დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზურნველყოფს დღის განრიგის წინასწარ შემუშავებას. აღნიშნული განრიგები არის დასურათებული რათა ბავშვისთვის იყოს მარტივად აღსაქმელი. ბავშვებს ეძლევათ საშუალება თვალი ადევნონ დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს და საქმიანობებს. დაწესებულებაში მოქმედებს აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის პროცედურები, ასევე რუტინული აქტივობების პროცედურები რომელიც ხელს უწყობს აღსაზრდელთა მხრიდან სწორი მოლოდინების შექმნას და ამცირებს ქცევით და ემოციურ სირთულეებს.

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუებით და პერსონალის პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით. კერძოდ დაწესებულების პერსონალს გავლილი აქვს ბავშვის უფლებების და რეფერირების პროცედურების დაცვის კუთხით გადამზადება, ასევე ტრენინგი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმების და პროცედურების შესახებ. ბავშვთა უფლებები ვლინდება კურიკულუმის განხორციელების მიმართულებით. კერძოდ, განვითარებაზე ორიენტირებული, არადისკრიმინაციული, ინკლუზიური მიდგომით. ყველა ბავშვს აქვს თანაბარი წვდომა განათლებასა და რესურსებზე, აქვთ თვითგამოხატვისა და თავისუფალი თამაშის უფლება. დაცული და გამოკვეთილია ბავშვის ინდივიდუალურობა და საჭიროებები. ბავშვს აქვს აქტიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა, ასევე დასვენებისა და განმარტების შესაძლებლობა. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ.

შესაბამისდ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის ბრძანება N 235 დარეგულირებულია დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვების ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების წესი. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულების ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მიმართოს რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N 313 განსაზღვრულია. პასუხისმგებელი პირი ანალიზებს ადგილზე ამოწმებს/ანალიზებს შემთხვევას და ადგენს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ახდენს შემთხვევის რეფერირებას (გადამისამართება) პასუხისმგებელ უწყებასთან/უწყებებთან. გადაუდებელი შემთხვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირებას ახორციელებს შემდეგი ეტაპების დაცვით:

- ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ხდება პოლიციის ინფორმირება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება;
- ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ხდება ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით;
- ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება დაწესებულების დირექტორს

